

ძალაშია 1997 წლის 18 თებერვლიდან

შეთანხმება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობა (შემდგომში „მონაწილე მხარეებად“ წოდებულნი), სურთ რა გააძლიერონ ეკონომიკური თანამშრომლობა,

მიზნად ისახავენ რა შექმნან ხელსაყრელი პირობები თითოეული მონაწილე მხარის მიერ მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ინვესტიციების განხორციელებისათვის,

აღიარებენ, რა რომ ამ შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული ინვესტიციების ორმხრივი დაცვა და წახალისება სტიმულს მისცემს კერძო ბიზნესის ინიციატივასა და აამაღლებს ორივე ქვეყნის კეთილდღეობას,

შეთანხმდნენ შემდგომში:

მუხლი 1
განმარტებენი

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის:

1. ტერმინი „ინვესტიციები“ - მოიცავს ყველა სახის ქონებრივ ფასეულობას განსაზღვრულს იმ მონაწილე მხარის კანონებითა და წესებით, რომლის ტერიტორიაზეც განხორციელდა ინვესტიცია და მოიცავს (მაგრამ ამით არ შემოიფარგლება):

ა) მოძრავ და უძრავ ქონებას, აგრეთვე სხვა სახის უფლებებს, როგორცაა სანივთო უფლებები, ნებისმიერი ხასიათის ფასეულობებთან მიმართებაში;

ბ) კომპანიებში ნაწილობრივ, სააქციონერო და სხვა სახის მონაწილეობის უფლებებს;

გ) მოთხოვნის უფლებას ფულად სახსრებზე, გუდვილზე და სხვა ფასეულობებზე და ნებისმიერი სახის საქმიანობაზე, რასაც ეკონომიური ღირებულება გააჩნია;

დ) უფლებებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, გექნიკურ პროცესებსა და ნოუ-ჰაუს;

ე) კანონით ან კონტრაქტით დაგენილ საქმიან კონცესიებს, მათ შორის ბუნებრივი რესურსების ძიებას, გადამუშავებას, მოპოვებას ან ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ პროცესებს.

2. ინვესტირებული ან რეინვესტირებული ფასეულობების ფორმის ცვლილება იმ მონაწილე მხარის კანონებისა და წესების შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა ინვესტირება, არ შეცვლის მათ ხასიათს, როგორც ინვესტიციებისას ამ შეთანხმების ფარგლებში.

3. ტერმინი „ინვესტორი“ - მოიცავს:

ფიზიკურ პირებს, რომლებიც არიან მონაწილე მხარის მოქალაქენი ან მუდმივად

მცხოვრები პირები და ამავე დროს არ არიან მეორე მონაწილე მხარის მოქალაქენი, ან კომპანიების, კორპორაციების, ფირმებისა და ასოციაციების ჩათვლით, რომლებიც შექმნილი არიან მონაწილე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად და რომლებიც არ იმყოფებიან მეორე მონაწილე მხარის კომპანიების პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ.

4. გერმინი „შემოსავალი“ - ნიშნავს ინვესტიციებიდან მიღებულ თანხებს და კერძოდ მოიცავს (თუმცა ამით არ შემოიფარგლება): დივიდენდებს, მოგებებს, ინვესტიციების მთლიანი ან ნაწილობრივი ლიკვიდაციის შედეგად მიღებულ თანხებს, პროცენტებს, ამონაგებს კაპიტალიდან, როიალტს ან ჰონორარებს.

5. გერმინი „გერიგორია“ - თითოეული მონაწილე მხარესთან მიმართებაში ნიშნავს მონაწილე მხარის გერიგორიას, როგორც გერიგორიული წყლების, ასევე კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით, რომელზეც შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილე მხარე ახორციელებს სუვერენულ უფლებებს და იურისდიქციას.

მუხლი 2

ინვესტიციების დაცვა და წახალისება

თითოეული მონაწილე მხარე თავის გერიგორიაზე ხელს შეუწყობს და საუკეთესო პირობებს შექმნის მეორე მონაწილე მხარის ინვესტიციების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებზე და მისი შიდა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების შესაბამისად დაუშვებს ამგვარ ინვესტიციებს.

თითოეული მონაწილე მხარის ინვესტიციების მიერ განხორციელებული ინვესტიციები ისარგებლებენ სამართლიანობის და თანასწორუფლებიანობის მოპყრობის რეჟიმით და უზრუნველყოფილი იქნებიან სრული დაცვითა და უსაფრთხოებით მეორე მონაწილე მხარის გერიგორიაზე. არც ერთი მონაწილე მხარე, დაუსაბუთებლად ან დისკრიმინაციული ხერხებით არანაირად არ შეუშლის ხელს მეორე მონაწილე მხარის ინვესტიციის მიერ ინვესტიციების მართვას, ექსპლუატაციას, სარგებლობას, ან განკარგვას მის გერიგორიაზე.

მუხლი 3

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი და ეროვნული რეჟიმი

არც ერთი მონაწილე მხარე თავის გერიგორიაზე არ შეუქმნის მეორე მონაწილე მხარის ინვესტიციას, ინვესტიციებს ან შემოსავლებს იმაზე უფრო ნაკლებად ხელშეწყობ რეჟიმს, ვიდრე რეჟიმი, რომელსაც იგი უქმნის ნებისმიერ საკუთარ ან მესამე ქვეყნის ინვესტიციებს ინვესტიციებსა და შემოსავლებზე.

ყოველი მონაწილე მხარე ისევე უწყობს ხელს თავის გერიგორიაზე მეორე მონაწილე მხარის ინვესტიციებს მათი ინვესტიციების მართვის, განკარგვის და ექსპლუატაციის საქმეში, როგორც საკუთარ ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტიციებს.

მუხლი 4

ზარალის კომპენსაცია

თუ ერთ-ერთი მონაწილე მხარის ინვესტორის მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე ინვესტიციებმა განიცადეს ზარალი, მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე თმის, შეიარაღებული კონფლიქტის, რევოლუციის, ტერიტორიაზე მომხდარი სხვა არეულობის გამო, ზარალის ანაზღაურება ამ მეორე მონაწილე მხარის მიერ უნდა მოხდეს ისეთივე პირობებით, როგორც ეს წარმოებს საკუთარი ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტორის ზარალის ანაზღაურებისას. საბოლოო გადასახადი თავისუფლად გრანსფერებადი უნდა იყოს.

წინამდებარე მუხლის პირველ პარაგრაფთან წინააღმდეგობაში მოსვლისას, ერთი მონაწილე მხარის ინვესტორის მიერ ამ პარაგრაფში აღნიშნულ ნებისმიერ სიტუაციაში მიღებული დანაკარგი მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე გამოწვეული:

მათი საკუთრების ძალოვანი სტრუქტურების ან ხელისუფლების მიერ რეკვიზიტით, ან მათი საკუთრების განადგურებით ძალოვანი სტრუქტურების ან ხელისუფლების მიერ, რომელიც არ იყო გამოწვეული საომარი მოქმედებით ან გამომდინარე სიტუაციიდან აუცილებლობას არ წარმოადგენდა, უნდა იყოს დაბრუნებული ან ადეკვატურად ანაზღაურებული. საბოლოო გადასახადი თავისუფლად გრანსფერებადი იქნება.

მუხლი 5

ექსპროპრიაცია

თითოეული მონაწილე მხარის ინვესტორების ინვესტიციები არ იქნება ექსპროპრიირებული, ნაციონალიზებული ან მოქცეული რაიმე სხვა, მისი შედეგებით ნაციონალიზაციისა და ექსპროპრიაციის გოლფასოვანი ღონისძიებების (შემდგომში როგორც ექსპროპრიაცია) ქვეშ მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ეხება ამ მონაწილე მხარის საზოგადოებრივი ინტერესების განხორციელებას შიდა მოთხოვნილებებზე არადისკრიმინაციულ საფუძველზე და სწრაფი, ადეკვატური და ეფექტური კომპენსაციის სანაცვლოდ. ასეთი კომპენსაცია უნდა შეესაბამებოდეს ექსპროპრიირებული ინვესტიციების ნამდვილ ღირებულებას, მიმდინარე ან მოსალოდნელი ექსპროპრიაციის განხორციელების ოფიციალურად აღიარების მომენტიდან, მოუხედავად იმისა, თუ როგორი იყო ის ადრე. კომპენსაცია დარიცხულ უნდა იყოს დაუყოვნებლივ და უშუალოდ გადახდის დღემდე მასზე უნდა გავრცელდეს ნორმალური კომერციული პროცენტი. იგი უნდა იყოს ეფექტურად გამოყენებული და თავისუფლად გრანსფერებადი. ინვესტორებს, რომელთაც შეეხო ექსპროპრიაცია, უნდა ჰქონდეთ ექსპროპრიაციის განმარტოვებული მონაწილე მხარის კანონმდებლობა, ამ პარაგრაფში მიღებული პრინციპების შესაბამისად, ამ უკანასკნელი მონაწილე მხარის სასამართლო ან ნებისმიერი სხვა დამოუკიდებელი უფლებამოსილი ორგანოს მიერ მათი საქმეების ან მათი ინვესტიციების შეფასების ოპერატიულად გადამოწმების უფლება.

იმ შემთხვევაში, როცა მონაწილე მხარე ახდენს იმ კომპანიის ქონების ექსპროპრიაციას, რომელიც პირველი მუხლის მესამე პარაგრაფის მიხედვით შექმნილია ან რეგისტრირებულია მის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და რომელშიც მეორე მონაწილე მხარის ინვესტორები ფლობენ წილს, ან

სხვა საკუთრების უფლებას, ამ მუხლის პირველი პარაგრაფის დებულებები ამგვარ ინვესტორებს შეხება იმდენად, რამდენადაც უზრუნველყოფილ იქნება სწრაფი, აღექვამური და ეფექტური კომპენსაცია მათ ინვესტიციებთან მიმართებაში.

მუხლი 6

ინვესტიციებისა და შემოსავლების რეპატრიაცია

თითოეული მონაწილე მხარე ინვესტიციებთან დაკავშირებით მეორე მონაწილე მხარის ინვესტორებს უზრუნველყოფს ყველა იმ უფლებითა და შესაძლებლობებით მათი ინვესტიციებისა და შემოსავლების შეუქცევადი გადარიცხვისათვის, რომელიც ძალაში იყო მოცემული ინვესტიციის განხორციელების მომენტში. იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტორი შეასრულებს თავის ყველა ფისკალურ ვალდებულებას და ფულის გადაცვლის წესების მოთხოვნილებებს. გადარიცხვა მოხდება იმ კონვენტირებად ვალუტაში, რომელზედაც შეთანხმდებიან ინვესტორი და შესაბამისი მონაწილე მხარე. ინვესტორის მიერ სხვაგვარი შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში, გადარიცხვა მოხდება მოქმედი სავალუტო კანონმდებლობის შესაბამისად გადარიცხვის მომენტში დადგენილი სავალუტო კურსით.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი მონაწილე მხარის ფულის გადაცვლის წესები შეიცვალა, მაშინ აღნიშნული მონაწილე მხარე უზრუნველყოფს, რომ ამგვარი ცვლილება უარყოფითად არ იმოქმედებს ამ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე უკვე მიღებულ ინვესტიციების მდგომარეობაზე.

მუხლი 7

გამონაკლისები

წინამდებარე შეთანხმების დებულებები, რომლებიც ეხება რომელიმე მონაწილე მხარის ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტიციებისათვის არანაკლები ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას, არ იქნება გაგებული, როგორც ერთი მონაწილე მხარის ვალდებულება განავრცოს მეორე მონაწილე მხარის ინვესტორებზე ნებისმიერი რეჟიმის სარგებლიანობა, უპირატესობა, ან პრივილეგია გამომდინარე;

ა) დაბეგვრასთან მთლიანად ან ძირითადად დაკავშირებულ ნებისმიერი საერთაშორისო შემთხვევებიდან ან ხელშეკრულებებიდან ან დაბეგვრასთან მთლიანად ან ძირითადად დაკავშირებული კანონმდებლობასთან.

ბ) არსებული ან მომავალი საბაჟო კავშირებიდან თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ დადებული შეთანხმებიდან ან მსგავსი საერთაშორისო შეთანხმებიდან, რომლის მონაწილეც არის ან შეიძლება გახდეს რომელიმე მონაწილე მხარე.

გ) ინვესტიციის განმარტებიდან (მუხლი 1, პარაგრ. 1), რეინვესტიციის აღნიშვნებიდან (მუხლი 1, პარაგრ. 2) და მეექვსე მუხლის დებულებებიდან, რომელიც მოიცავს 1992 წლის 1 ივნისამდე ისრაელის სახელმწიფოში ძალაში შესულ შეთანხმებებს.

მუხლი 8

საინვესტიციო დავების მოგვარებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ცენტრთან ურთიერთობა

თითოეული მონაწილე მხარე აცხადებს თანხმობას საინვესტიციო ღვადა, რომელიც წარმოიშობა ამ მონაწილე მხარესა და მეორე მონაწილე მხარის ინცესტორს შორის ამ უკანასკნელის ინვესტიციებთან დაკავშირებით პირველი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, განხილულ იქნეს საინვესტიციო ღვადაების მოწესრიგების საერთაშორისო ცენტრის (შემდგომში ცენტრი) სამედიაცორო ან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ 1965 წლის 18 მარტის ვაშინგტონში ხელმოწერილ და მიერთებისათვის ღია, ქვეყნებსა და სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის საინვესტიციო ღვადაების მოგვარების კონვენციის შესაბამისად.

კომპანია, რომელიც შექმნილია ან დაფუძნებულია ძალაში მყოფი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე და რომელშიც ამ ღვადას წამოჭრამდე აქციების უდიდესი წილი მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებს ან კომპანიებს ეკუთვნოდათ, შემოხსენებული კონვენციის 25-ე მუხლის მეორე პარაგრაფის (ბ) ქვეპარაგრაფის თანახმად უნდა ჩაითვალოს მეორე მონაწილე მხარის კომპანიად.

რაიმე ღვადას წარმოშობისას, თუ სამი თვის განმავლობაში არ მოხერხდა მხარეთა შორის ღვადას ადგილობრივი საშუალებებით ან სხვა რაიმე გზით გადაწყვეტა, მაშინ ინვესტორს, რომელსაც შეეხო ეს ღვადა, შეუძლია წარუდგინოს ღვადა მოსაგვარებლად ცენტრის გენერალურ მდივანს კონვენციის 28-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად. ღვადას მონაწილე მხარე საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ შეეწინააღმდეგება სადამღვევო კონტრაქტით გათვალისწინებული დანაკარგების სრული ან ნაწილობრივი კომპენსაციის მიღებას ღვადას მონაწილე მეორე მხარის მიერ.

არცერთი მონაწილე მხარე არ გამოიყენებს დიპლომატიურ არხებს, რათა სარჩელთ მიმართოს ცენტრს, თუ:

ცენტრის გენერალური მდივანი, მომრიგებელი კომისია, ან კომისიის მიერ დაფუძნებული სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მოცემული სადაო საკითხი არ ექვემდებარება ცენტრის იურისდიქციას, ან მეორე მონაწილე მხარე არ შეასრულებს ან არ დაემორჩილება საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გამოგანილ რაიმე გადაწყვეტილებას.

მუხლი 9

მონაწილე მხარეთა შორის წამოჭრილი ღვადა

ღვადა მონაწილე მხარეთა შორის, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე შეთანხმების განმარტების ან გამოყენების დროს, შეძლებისდაგვარად მოგავრდება დიპლომატიური არხების საშუალებით. უშუალოდ ამ შემთხვევისათვის, მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი ორმხრივი კომისიით.

თუ ღვადას შესახებ შეგყობინების მიღებიდან 6 თვის ვადაში, იგი არ გადაწყდება გემთ აღნიშნული საშუალებით, მაშინ მონაწილე მხარეთაგან ერთ-ერთის მოთხოვნის საფუძველზე, ეს საქმე განსახილველად გადაეცემა საარბიტრაჟო სასამართლოს.

საარბიტრაჟო სასამართლო ცალკე შეიქმნება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შემდეგნაირად: არბიტრაჟში მოთხოვნის მიღებიდან აირჩევა თითო წევრი ორივე მხარიდან. ამ ორმა წევრმა უნდა აირჩიოს მესამე სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც ორი მონაწილე მხარის თანხმობით დაინიშნება სასამართლოს თავმჯდომარედ. თავმჯდომარე დაინიშნება დანარჩენი ორი წევრის არჩევიდან ორი

თვის განმავლობაში.

თუ მესამე პარაგრაფში აღნიშნულ პერიოდში საჭირო დანიშვნები არ განხორციელდება, სხვა რომელიმე მარეგულირებელი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, მონაწილე მხარეთაგან ნებისმიერს შეუძლია მიმართოს პარიზის საერთაშორისო კომერციის პალატის (ICC) პრეზიდენტს, რათა ამ უკანასკნელმა მოახდინოს შესაბამისი დანიშვნები. თუ პრეზიდენტი ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოქალაქეა, ან რაღაც მიზეზის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ფუნქციას, მაშინ დანიშვნები უნდა გააკეთოს ვიცე-პრეზიდენტმა. თუ ვიცე-პრეზიდენტი რაიმე მიზეზით ვერ ახერხებს აღნიშნული ფუნქციის შესრულებას, მაშინ შესაბამისი დანიშვნები უნდა გააკეთოს პალატის (ICC) რანგით შემდგომმა წევრმა.

საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ამგვარი გადაწყვეტილება აუცილებელი იქნება ორივე მონაწილე მხარისათვის. მონაწილე მხარეთაგან თითოეული უმრუნველყოფს სასამართლოში თავისი წევრის ან საარბიტრაჟო პროცესებში თავისი წარმომადგენლის მატერიალურ ანაზღაურებას თანაბრად. სასამართლო თვითონ აწესებს თავის პროცედურებს.

მუხლი 10

სუბროგაცია

თუ ერთ-ერთი მონაწილე მხარე ან მის მიერ დანიშნული წარმომადგენელი (შემდგომში: პირველი მონაწილე მხარე) ახდენს გადახდებს ინვესტიციებზე მიცემული გარანტიის ქვეშ მეორე მონაწილე მხარის გერიგორიაზე (შემდგომში: მეორე მონაწილე მხარე), მეორე მონაწილე მხარე ცნობს შემდეგ ვალდებულებებს:

გადასცეს პირველ მონაწილე მხარეს დაზღვეულისათვის კანონით ან იურიდიული გარიგებით გათვალისწინებული ყველა უფლებები და მოთხოვნები, და პირველ მონაწილე მხარეს შეუძლია გამოიყენოს ეს უფლებები და წამოაყენოს მოთხოვნები სუბროგაციის საშუალებებით ისევე, როგორც დაზღვეულ მხარეს.

პირველ მონაწილე მხარეს ნებისმიერ შემთხვევაში ექნება:

იგივე რეჟიმი სუბროგაციით მიღებული უფლებების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების მიმართ.

ამ უფლებებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით ნებისმიერი გადასახადების მიღების უფლება ისევე, როგორც დაზღვეულ მხარეს, რომელსაც ამ შეთანხმების თანახმად შეეძლო მიეღო შემოსავალი ინვესტიციებთან და მათთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებიდან.

მუხლი 11

სხვა წესების გამოყენება

თუ რომელიმე მონაწილე მხარის კანონმდებლობა, ან ორივე მონაწილე მხარეს შორის არსებული ან მომავალში დადებული საერთაშორისო-სამართლებრივი შეთანხმებები, წინამდებარე შეთანხმებასთან მიმართებაში დამატებით შეცვლის ზოგად

ან სპეციალურ დებულებებს, რომელიც მეორე მონაწილე მხარის ინვესტორების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს აძლევს უფლებას ისარგებლონ უფრო ხელსაყრელი რეჟიმით, ვიდრე იძლევა წინამდებარე შეთანხმება, მაშინ მოცემული დებულებები უნდა პრევალირებდეს ამ შემთხვევების შესაბამის დებულებებზე, იმდენად რამდენადაც ისინი მეტად ხელსაყრელი არიან.

მუხლი 12

შეთანხმების დებულებების გამოყენება

წინამდებარე შეთანხმების დებულებები გამოიყენება ორივე მონაწილე მხარის მიერ ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე ან ძალაში შესვლის შემდეგ განხორციელებულ ინვესტიციებთან მიმართებაში.

მუხლი 13

ძალაში შესვლა

თითოეული მონაწილე მხარე, დიპლომატიური არხების საშუალებით, შეაგყობინებს მეორე მონაწილე მხარეს ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდა პროცედურების დასრულების შესახებ. ეს შეთანხმება ძალაში შედის მონაწილე მხარეთაგან უკანასკნელის მიერ მონაწილე მხარის შეგყობინების თარიღიდან.

მუხლი 14

მოქმედების ვადა და შეწყვეტა

ეს შეთანხმება ძალაში რჩება 10 წლის განმავლობაში. ამის შემდეგ უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ ამოიწურება 12 თვე ღლიდან, როდესაც ნებისმიერი მონაწილე მხარე მეორეს გაუგზავნის შეგყობინების ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. იმ ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელებული იყო წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტამდე, შეთანხმების დებულებები დარჩება ძალაში მისი ანულისრების თარიღიდან შემდეგი ათი წლის განმავლობაში საყოველთაო საერთაშორისო-სამართლებრივი წესების დარღვევის გარეშე.

შესრულებულია ქ. იერუსალიმში ორ ნამდვილ ეგზემპლარად 1995 წლის „19“ ივნისს, ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებზე. ამასთანავე სამივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა. შეთანხმების ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებული უთანხმოების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ტექსტს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით

ისრაელის სახელმწიფოს მთავრობის სახელით